

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გური ჭანუყვაძე

გრძელვადიანი აგროდაკრედიტების სრულყოფის გზები საქართველოს  
კომერციულ ბანკებში

ფინანსების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სადოქტორო პროგრამა - 0204 შიფრი

თბილისი

2016 წელი

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში  
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი  
საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

**ხელმძღვანელი:**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
პროფესორი

/ი.ფიჩხაია /

**ოფიციალური რეცენზენტი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

/ /

**ოფიციალური რეცენზენტი**

მოწვეული პროფესორი

/ /

დაცვა შედგება 2016 წლის ----- ივლისს ----- საათზე, საქართველოს  
ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სადისერ-  
ტაციო საბჭოს კოლეგიის სხდომაზე, კორპუსი -----, აუდიტორია -----  
მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,  
ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

**სადისერტაციო საბჭოს მდივანი:**

პროფესორი

/ს. ხიზანიშვილი/

## Summary

Thesis on - improving the long-term agro crediting ways of commercial banks is quite relevant in modern conditions. Despite the positive results, the banking system has not been able to fully fund the agricultural sector, however, on the basis of legislative and organizational measures of the state's agriculture financing it is available to overcome the most pressing challenges of the financial resources . At first, crediting of the agriculture by commercial banks as well as the other economic sectors, implies the readiness of commercial banks and the adequacy of financial resources.

The financial sector is important for the country's economy, since it serves as the most effective mediator between the creditors and the debtors. For example, commercial banks, which are the basic units of the financial sector in Georgia, take money (deposits) from individuals and legal entities, then they carry out their deployment in various economic sectors, in other words they make crediting of attracted funds for various individuals and legal entities. At the same time, non-cash payments are implemented via commercial banks though inside and outside the country. Therefore, unlike other organizations, the problems of commercial banks are instantly reflected in different fields of the country's economic. Hence, it is necessary to constantly monitor the risks of commercial banks as a separate financial institution and the sector level as well.

As a profit-oriented entity, one of the guiding principles of a commercial bank is more profit. The aim is limited by the risks that accompany banking activities, particularly the activities of commercial banks, so the bank is trying to avoid risks or minimize them, or to minimize possible losses. On the other hand, the more risky is the operation, the higher probability of making a profit is. In contrast, the less the risk is, the lower probability of high-profit-making is. Therefore, to choose the option out of variety of alternative methods, which will be found optimal conformity and compliance with riskiness, is the most important duty of the bank's management. This is possible when you have a good knowledge of banking risks, controlling and management of the appropriate mechanisms.

The risk lies in any operation of the bank, of course, their scale and the negative impact are different. The level of risk increases when problems arise suddenly and the bank will not be ready to neutralize it in time. Finally, we can say that the profit-making is possible in a commercial bank only when the risks and expected losses are estimated, researched, calculated, and insured.

Agriculture is the most important sector of the economy, and the center of an agro-industrial complex. Economic development of the agricultural sector in Georgia has vital importance for the special food security, largely depends on it to raise the level of living. In modern conditions of agricultural production and growth of the sector to modernize the system in Georgia is regarded as a national priority and the realization of the National Agricultural Development Project is being implemented. The modern world economic crisis has caused difficult

problems but at the same time it can be said that it has made possible to improve the competitiveness of its products ensuring at least the domestic market.

At least two preconditions are necessary to activate the role of bank crediting in the developed agricultural economy: the first is sufficient financial resources and the second is their solvent payer. The development of Georgia's long-term bank crediting system of the agriculture is prevented from a number of unfavorable circumstances, including the agricultural sector, the high credit risks, not being sufficiently high level of profitability of agricultural enterprises, a limited amount of financial resources

One of the important factors to develop the agricultural sector is the agricultural insurance development. Due to the variety of factors in the developed countries (economic, social, political, etc.) there are insurance systems for agricultural risks, while in developing countries farmers do not have an opportunity of significant investment in agricultural activities and a stable / guaranteed economic environment for a certain period (until they pay the loan). Generally, in rural or agricultural sector, the risks are largely depended on local factors, such as: practice in agricultural production, types of soil, climatic conditions, etc. In developing countries, these are more other factors (controlling of natural diseases, technical risks, etc.). In developing countries the insurance companies carry the agricultural risk selection, which will be carried out by insurance.

The topicality of the Research thesis is grounded; The current state of its scientific development is studied; the purpose of the study is reported, the task, the object, the subject, the theoretical and methodological bases and database; The main results of the work and scientific news are shown and its practical importance. The Questions are asked and answered about the source of the dissertation work and the problems; what is already known about these problems, what caused processing necessity of the problem; what alternative practical methods are designed to solve these problems and which ones are used in the work.

The Studies reveale a complex rate of bank credit activity. Commercial bank credit activity is developing as a special field. Important characteristic is that the agricultural process is directly related to the natural processes, so particularly there should be explored natural factors in agricultural crediting process by the commercial banks.

There are discussed the activities of commercial banks, credit risk analysis and management features; on the other hand, the current situation of the agricultural sector and in order to solve the problem of scantiness of financial resources which were conducted by the country.

The main text covers 143 pages typed on the computer. It consists of introduction, literature review, three of its nine subchapters and a conclusion. The work is attached to the list of references.

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

1.1. საკვლევი თემის აქტუალობა : სოფლის მეურნეობა ეროვნული ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს სექტორს და ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის ბირთვს წარმოადგენს. ეკონომიკის აგრარული სექტორის განვითარებას დღეს საქართველოში სასიცოცხლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია სახელმწიფოს სასურსათო უსაფრთხოებისათვის, მასზეა დამოკიდებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო დონის ამაღლება. თანამედროვე პირობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდის მიღწევა და დარგის სისტემური მოდერნიზაცია საქართველოში ეროვნულ პრიორიტეტად არის მიჩნეული და მისი რეალიზება სოფლის მეურნეობის განვითარების ეროვნულ პროექტში ხორციელდება.

გრძელვადიანი დაკრედიტების სანდო სისტემის შექმნა და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების გრძელვადიანი დაკრედიტების მოცულობის ზრდის უზრუნველყოფა დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, რომელთა შორის უმთავრესია შემდეგი: ეფექტურად მომუშავე საკანონმდებლო ბაზის არსებობა, სასოფლო-სამეურნეო სექტორში მოღვაწე მეწარმეების მხრიდან გრძელვადიან კრედიტებზე გადახდისუნარიანი მოთხოვნის არსებობა, გრძელვადიანი კრედიტების ხელმისაწვდომობა, ქვეყნის საბანკო სისტემის განვითარებისა და მოქნილობის დონე.

საქართველოში სოფლის მეურნეობის გრძელვადიანი დაკრედიტების სისტემის განვითარებას ხელს მთელი რიგი არასახარბიელო გარემოებების უშლის ხელს, მათ შორის აღსანიშნავია აგრო სექტორში არსებული მაღალი საკრედიტო რისკები, აგრო საწარმოების რენტაბელობის არასაკმარისად მაღალი დონე, შეზღუდული ოდენობის საკუთარი ფინანსური რესურსები.

აგრარული ეკონომიკის ეფექტურობის ზრდაზე მიმართული სხვადასხვა საბაზრო საინვესტიციო პროგრამების რეალიზაციისთვის აუცილებელია გრძელვადიანი, შედარებით იაფი საკრედიტო რესურსების ფორმირების პრობლემის გადაჭრა, ხოლო კრედიტების ხელმისაწვდომობის

ლონის გაზრდისთვის აუცილებელია რიგი ამოცანების გადაჭრა, რომლებიც უკავშირდება საკრედიტო პროცესის ერთის მხრივ მსესხებლის ცვალებად ფინანსურ შესაძლებლობებთან და მეორეს მხრივ გრძელვადიანი ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაციის პრობლემას. ამ სიტუაციაში, შეზღუდული ოდენობის ფინანსური რესურსების და სახელმწიფო სუბსიდიების გათვალისწინებით დგება გრძელვადიანი კრედიტის პარამეტრების შერჩევის ამოცანა, რომლის გადაჭრა მის დაბრუნებას, ეფექტურობას და მსესხებლების კიდევ უფრო ფართო წრისთვის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

ამ ამოცანის გადაწყვეტის სირთულე და აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული საკრედიტო ოპერაცია თავისი ხასიათით უნიკალურია და ამიტომ მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას მისი ეფექტურობის დასაბუთებისადმი მსესხებლის გადახდისუნარიანობის და საკრედიტო ბაზრის ცვალებადი კონიუნქტურის გათვალისწინებით.

მიუხედავად თანამედროვე პირობებში მიღწეული დადებითი შედეგებისა, საბანკო სისტემამ ფინანსური კრიზისის შედეგები ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ დაძლია. საკრედიტო დაწესებულებების რესტრუქტურირებისთან მიმართებაში საკანონმდებლო და ორგანიზაციული ღონისძიებების საფუძველზე ფინანსური კრიზისის ყველაზე მწვავე შედეგების დაძლევა იქნა უზრუნველყოფილი, გადახდისუნარო და პრობლემური ბანკების რაოდენობა მნიშვნელოვნად იქნა შემცირებული, ბანკების კაპიტალის, მათი აქტივების ზრდისათვის და ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებისათვის აუცილებელი პირობები იქნა შექმნილი.

უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ყურადღება ექცევა გრძელვადიანი დაკრედიტების პრობლემებსა და მიმართულებებს. ამასთან, ძირითადი ყურადღება ექცევა საკრედიტო რესურსების მოზიდვასთან დაკავშირებული ამოცანების გადაჭრას იმ ვადითა და იმ ღირებულებით, რაც გრძელვადიანი და ხელმისაწვდომი კრედიტების გაცემის საშუალებას

იძლევა. კომერციულ ბანკებთან და აგრობიზნესთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები მრავალმხრივ არის შესწავლილი ქართველი (გ.ცაავა, ა.ინგოროყვა, ს.ყამარაული, გ.დუჭიძე, ი.ყამარაული და სხვა) და უცხოელი (А. А. Лобанова, А. В. Чугунова) მეცნიერ-ეკონომისტების და პრაქტიკოსი მკვლევარების მიერ;

**1.2. კვლევის მიზანი და ამოცანები :** კვლევის მიზნად დავისახეთ საბანკო სისტემის მიერ საბანკო რისკების მაქსიმალურად იდენტიფიკაციის და შეფასების პირობებში შეგვესწავლა საქართველოში სოფლის მეურნეობის დაკრედიტების მდგომარეობა, გამოგვეკვლია აგრობიზნესის სუბიექტების ფინანსური უზრუნველყოფის პრობლემატური საკითხები. აღნიშნული მიზნით გადავწყვიტეთ შემდეგი ამოცანები:

- შევისწავლეთ აგრარული რეფორმები საქართველოში;
- დავადგინეთ აგრო სექტორის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში;
- გამოვავლინეთ სასოფლო სამეურნეო დარგის საბანკო დაკრედიტების თავისებურებები;
- დაკრედიტების პროცესის ეფექტურობის გაზრდის მიზნით შევიმუშავეთ ტექნოლოგიური ბარათები ძირითადი სასოფლო-სამეურნეო დარგებისთვის.

**1.3. კვლევის საგანი და ობიექტი:** კვლევის საგანს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო სუბიექტების საბანკო დაკრედიტების არსებული საკრედიტო მექანიზმის შესწავლა და რისკების შეფასება. კვლევის ობიექტს წარმოადგენს ერთის მხრივ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და ფინანსური სექტორების ურთიერთკავშირი, ხოლო მეორეს მხრივ სოფლის მეურნეობის სუბიექტების დაკრედიტების თავისებურებები.

კვლევის ძირითადი ამოცანები დასმული და გადაწყვეტილია ისეთი ობიექტების მიმართ, როგორებიცაა კომერციული ბანკის საკრედიტო საქმიანობა, ფინანსური მდგრადობა, აგრობიზნესის კრედიტუნარიანობა, ლიკვიდურობა, გადახდისუნარიანობა და საიმედოობა.

**1.4. კვლევის მეთოდოლოგი საფუძვლები.** კვლევის ჩატარების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს დიალექტიკური მეთოდი. კვლევის პროცესში გამოყენებული იყო საქართველოს ეროვნული (ცენტრალური) ბანკის საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, სამეცნიერო კონფერენციების მასალები და სემინარები, შესწავლილია კომერციული ბანკის საკრედიტო პროცესთან დაკავშირებით ეროვნული და უცხოური ავტორების საერთო და სპეციალური ლიტერატურა.

**1.5 კვლევის მეცნიერული სიახლე.** სადისერტაციო კვლევის არსებითი შედეგები მდგომარეობს შემდეგში:

- **დაზუსტებულია**, რომ ეროვნულ ეკონომიკურ ლიტერატურაში სოფლის მეურნეობის დარგის დაკრედიტების პრაქტიკული საკითხები არასაკმარისად არის გადმოცემული.
- **განხილულია** აგრობიზნესის კრედიტუნარიანობა, როგორც მისი მდგრადობის გამოვლენის უმნიშვნელოვანესი ფორმა, გაკეთებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ საკრედიტო ოპერაციების მოცულობისა და რენტაბელობის ზრდის დაბალი ტემპები მოითხოვენ საკრედიტო რისკების მართვის მეთოდოლოგიის მუდმივ სრულყოფას და მისი რეალიზაციისათვის შიდასაბანკო სტრუქტურების შექმნის აუცილებლობას;
- **რეკომენდირებულია**, რომ ფინანსური ანალიზის ჩატარების მიზნით კომერციული ბანკების მიერ შემუშავებული იქნას ტექნოლოგიური ბარათები სოფლის მეურნეობის მიმართულელების მიხედვით.
- **შეთავაზებულია**, რომ სოფლის მეურნეობის დაკრედიტების დროს გამოყენებული იქნას გირაოს ალტერნატიული წყაროები, მათ შორის სახელმწიფო გარანტიები და აგრობიზნესის მომავალი მოსავალი;

**1.6 მიღებული შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა.** ერთის მხრივ კომერციული ბანკების საკრედიტო საქმიანობის შესწავლამ და მეორეს მხრივ სოფლის მეურნეობის დარგში მიმდინარე პროცესებმა შესაძლებელი გახადა შემოგვეთავაზებინა კომერციული ბანკების მიერ აგროდაკრედიტების პროცესის ორგანიზების ერთიანი მიდგომა და



აგრეთვე, განგვესაზღვრა აგრარული სექტორის დაკრედიტების თავისებურებები.

**1.7 კვლევის შედეგების აპრობაცია და დანერგვა.** შესრულებული კვლევის შედეგები აპრობირებულია ავტორის მიერ ძირითადად სამსახურში (სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია") კვლევის შედეგების გამოყენებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად სტუდენტურ აუდიტორიაში პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარების პროცესში.

**1.8 კვლევის შედეგების პუბლიკაციები.** სადისერტაციო კვლევის პრობლემებთან მიმართებაში ავტორის მიერ 4 სამეცნიერო სტატია არის გამოქვეყნებული უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ რეკომენდირებულ სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალებში:

**1.9 ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** სადისერტაციო კვლევა შედგება შესავლისგან, სამი თავისა და ცხრა ქვეთავისაგან, დასკვნისაგან, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან, რომელიც მთლიანობაში მოიცავს კომპიუტერული წესით ნაბეჭდ 143 გვერდს.

## ნაშრომის ძირითადი შინაარსი

**შესავალში** დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა; შესწავლილია მისი მეცნიერული დამუშავების თანამედროვე მდგომარეობა; გადმოცემულია კვლევის მიზანი, ამოცანა, ობიექტი, საგანი, თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები და ინფორმაციული ბაზა; ჩამოყალიბებულია ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე; ნაჩვენებია მისი პრაქტიკული მნიშვნელობა.

**ლიტერატურის მიმოხილვაში** დასმული და პასუხგაცემულია კითხვები იმის თაობაზე, თუ საიდან მომდინარეობს სადისერტაციო ნაშრომში ჩამოყალიბებული პრობლემა, რა არის უკვე ცნობილი ამ პრობლემების შესახებ, რამ განაპირობა აღებული პრობლემის მეცნიერული დამუშავების აუცილებლობა, რა ალტერნატიული პრაქტიკული მეთოდებია შემუშავებული დასმული პრობლემების გადასაჭრელად და რომელი მათგანია გამოყენებული წარმოდგენილ ნაშრომში.

**სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში** განხილულია აგრარული სექტორის რეფორმები და თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში, საუბარია აგრობიზნესის ფუნქციებსა და საქართველოში ბიზნესის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმებზე.

აგრარული რეფორმა ქვეყნის საერთო ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. იგი მოიცავს დროის გარკვეული პერიოდისათვის აგრარული სექტორის განვითარებისათვის საჭირო ორგანიზაციულ-სამართლებრივ, საწარმოო, ეკონომიკურ, ტექნიკურ-ტექნოლოგიურ და სხვა სახის ღონისძიებათა კომპლექსს.

აგრარული რეფორმა განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტებს და მათი რეალიზაციის ძირითად მიმართულებებს ქვეყნის წინაშე მდგარი გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით.

ნებისმიერ ქვეყანაში აგრარული რეფორმის შემუშავებისა და რეალიზაციის ძირითადი ამოცანა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების

უზრუნველყოფაა, რომელიც თავის მხრივ ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის გარკვეული გარანტია და საფუძველია.

ურთულეს პოლიტიკურ ვითარებაში (1992 წ.) განხორციელებულმა მიწის რეფორმამ გამოიწვია მეურნეობების დანაწევრება და წარმოების ნატურალიზაცია. 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მიხედვით, 0.1 - დან - 1 ჰექტრამდე მიწას ფლობდა მიწათმოსარგებლეთა 66.9%, 1-დან 5 ჰექტრამდე ფართობს - 23.3%, ხოლო 50-დან - 500 - ჰექტრამდე - მხოლოდ 0,15% (ცხრილი 3). პრობლემას ამწვავებდა ისიც, რომ მეურნეობების კუთვნილი 1 ჰექტარი მიწა საშუალოდ წარმოდგენილი იყო 2-3 ნაკვეთად. ცხადია, ასეთ პირობებში ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზება მიწების კონსოლიდაციის გარეშე შეუძლებელია, რაშიც სამომავლოდ სერიოზული როლი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა უნდა შეასრულონ.

საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის განმტკიცება, მისი სასოფლო-სამეურნეო კომპლექსის წარმატებით განვითარება, მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული სასურსათო ბაზრის ფორმირებასთან, რომელიც კვების ძირითადი პროდუქტებით (მარცვლეული, ყურძენი, ღვინო, ხილი, ჩაი, ციტრუსი, ბოსტნეული, კარტოფილი, რძე, ხორცი, კვერცხი და ა. შ.) თვითუზრუნველყოფაზეა დამყარებული.

გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ საქართველოში საზღვარგარეთიდან მნიშვნელოვნად მეტი რაოდენობის პროდუქცია შემოედინება, ვიდრე პირიქით, მაგალითად :

- 2014 წელს იმპორტირებული იქნა 11,729 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების პომიდორი, ხოლო ექსპორტირებული იქნა 0,584 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების პომიდორი;
- 2014 წელს იმპორტირებული იქნა 1,464 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების ნიორი, ხოლო ექსპორტირებული იქნა 2,9 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ნიორი;

- 2014 წელს იმპორტირებული იქნა 7,064 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების ბადრიჯანი, ხოლო ექსპორტირებული იქნა 4,7 ათასი აშშ დოლარის ღირებულების ბადრიჯანი;
- 2014 წელს იმპორტირებული იქნა 2,115 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების სტაფილო და თაღვამი, ხოლო ექსპორტირებული იქნა 88 ათასი აშშ დოლარის ღირებულების სტაფილო და თაღვამი.

აღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში შემოსული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ვალუტა საზღვარგარეთ გაედინება, რაც არა მარტო ეკონომიკას ასუსტებს, არამედ ადგილობრივ წარმოებასაც მნიშვნელოვნად აფერხებს, ამასთან ისეთი სახის სასურსათო პროდუქციის იმპორტი ხდება, რომლის წარმოების გაზრდის დიდი საშუალება ჩვენვე გავვაჩნია და ქვეყნის გარეთაც შეგვიძლია გავიტანოთ, თუკი ამისათვის იქნება მთავრობისა და ხელისუფლების პოლიტიკური ნება და მათი მხრიდან ხელსაყრელი ეკონომიკური პირობები შეიქმნება (აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი იხილეთ ნახაზი 1.1).

<b>აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი (ათასი აშშ დოლარი)</b>				
	2012 წ.	2013 წ.	2014 წ.	2015 წ.*
ექსპორტი	510,575.00	774,271.00	825,631.00	611,909.00
იმპორტი	1,263,308.00	1,288,051.00	1,305,035.00	1,104,728.00
% წილი	40.42%	60.11%	63.27%	55.39%
* წინასწარი მონაცემები				

ნახაზი 1.1. აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტი

მომხმარებელთა მრავალფეროვანი მოთხოვნილებები შეიძლება დაკმაყოფილებული იქნას როგორც მატერიალური საგნებით, ასევე მომსახურების გაწევით. ორივე შემთხვევაში ბიზნესი გარკვეულ სოციალურ თუ ეკონომიკურ ფუნქციას ასრულებს. თავისი ფუნქციების და მიზნების შესასრულებლად აგრობიზნესი იყენებს ისეთ საორგანიზაციო ბერკეტებს, როგორცაა მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები, ბუღალტრული აღრიცხვა, და საინფორმაციო სისტემები.

საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“ ბიზნესის სამართლებრივი ფორმებია: ინდივიდუალური მეწარმე, სამეწარმეო ამხანაგობა, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია) და კოოპერატივი (ბიზნეს სუბიექტების სტატისტიკური მონაცემებისთვის იხილეთ ცხრილი # 1.1.)

ცხრილი #1.1

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	რაოდენობა	% წილი
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)	2722	0.46%
კომანდიტური საზოგადოება	181	0.03%
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)	172423	29.00%
სააქციო საზოგადოება	2392	0.40%
კოოპერატივი	4204	0.71%
ინდივიდუალური მეწარმე	412680	69.40%
<b>ჯამში</b>	<b>594602</b>	

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში შესწავლილია სოფლის მეურნეობის გრძელვადიანი საბანკო დაკრედიტების თავისებურებები და ბიზნესის კრედიტუნარიანობის შეფასების ძირითადი ასპექტები.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში აგრარული რეფორმების შენელებული ტემპები განაპირობებდნენ დარგში ეფექტური საკრედიტო სისტემის არარსებობას. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა წარმოშვა საკმაოდ რთული პრობლემები, თუმცა ამავდროულად მან შესაძლებელი გახადა საკუთარი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების უზრუნველყოფა სულ მცირე სახელმწიფოს შიდა ბაზარზე მაინც. ამისათვის აუცილებელია კრედიტი, რადგან წარმოების მოცულობის გაზრდა ფინანსური რესურსების გარეშე შეუძლებელია, ხოლო თავად სოფლის მეურნეობაში ეს რესურსები არ არის. სტანდარტული საბანკო კრედიტი საერთო პირობებზე შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთების და კრედიტის მოკლე ვადის გამო ხელმიუწვდომელი ხდება აგრო სექტორში დასაქმებული მეწარმეებისთვის და აღნიშნული საკითხის

დარეგულირებაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია სახელმწიფოს მხარდაჭერას.


2013 წლიდან სახელმწიფოს ხელშეწყობით დაიწყო „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი“, რომელსაც ანხორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო და რომლის ფარგლებშიც ხორციელდება კომერციული ბანკების მიერ აგრო ბიზნესის და ფერმერული მეურნეობების როგორც საბრუნავი საშუალებების ისე ძირითადი საშუალების დაკრედიტება სახელმწიფოს მიერ კრედიტებზე გადასახდელი პროცენტების ნაწილობრივ სუბსიდირების ხელშეწყობით.

„შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი“ მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) მცირე ფერმერებისთვის;
- შელავათიანი აგრო კრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის;
- შელავათიანი აგრო კრედიტი სასოფლო - სამეურნეო საწარმოებისთვის;
- შელავათიანი აგროლიზინგი;
- შელავათიანი აგროკრედიტი ყურძნის გადამამუშავებელი კომპანიებისათვის;
- შელავათიანი აგროკრედიტი ციტრუსის ექსპორტიორი და გადამამუშავებელი კომპანიებისათვის;
- შელავათიანი აგროკრედიტი ატმის შემსყიდველი საწარმოებისათვის;
- შელავათიანი აგროკრედიტი თანმხვედრი გრანტით დაფინანსებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოებისათვის.

ქვეყნის შიდა გამოცდილების ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს ბანკების საკრედიტო საქმიანობის როლი სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის გარეშე (შელავათიანი აგროდაკრედიტების პროგრამა) არ არის გადამწყვეტი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ფუნქციონირების

მექანიზმში, რისი ნათელი მაგალითიც არის სოფლის მეურნეობის დარგის დაკრედიტების მოცულობის მონაცემები, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ამოქმედების შემდეგ სოფლის მეურნეობის დარგის დაკრედიტების მაჩვენებელი გაზრდილი არის 5,4-ჯერ (55 მლნ ლარიდან 298 მლნ ლარამდე), ამავდროულად გაზრდილი არის დარგის დაკრედიტების პროცენტული წილი მთლიანად ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულ ჯამურ დაკრედიტებაშიც 0,67 %-დან 2,06 %-დე (იხილეთ ნახაზი 1.2)



ნახაზი 1.2. აგროსექტორზე გაცემული საბანკო კრედიტების წილი ჯამურ დაკრედიტებაში

ბანკის როგორც მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციის საქმიანობის საბოლოო შედეგები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საკრედიტო პროცესის ორგანიზებასა და მის გეგმაზომიერად წარმართვაზე. საკრედიტო პროცესის ორგანიზება დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე

როგორცაა ბანკის სტრატეგია, საკრედიტო პოლიტიკა, თანამშრომლების კვალიფიკაცია და ა.შ.

კომერციულ ბანკებში დაკრედიტების პროცესი შესაძლოა დაიყოს რამდენიმე ეტაპად, რომელთაგან თითოეულს საკუთარი წვლილი შეაქვს კრედიტის თვისობრივ მახასიათებლებში და განსაზღვრავს მისი სანდოობისა და მომგებიანობის დონე ბანკისთვის, ეს ეტაპებია:

- საკრედიტო განაცხადის განხილვა კრედიტის მისაღებად;
- განმცხადებლის კრედიტუნარიანობის და სესხის გაცემასთან დაკავშირებული რისკის შეფასება;
- საკრედიტო ხელშეკრულების და მასთან დაკავშირებული აქსცესორული ხელშეკრულებების მომზადება და მისი გაფორმება;
- ხელშეკრულებების პირობების შესრულების და კრედიტის დაფარვის კონტროლი.

კვლევის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მსესხებლის კრედიტუნარიანობის ანალიზს, განისაზღვრა, რომ კრედიტუნარიანობა – ესაა მსესხებლის თვისობრივი შეფასება, რომელიც კეთდება ბანკის მიერ რათა გამოვლინდეს რამდენად აქვს მსესხებელს უნარი დროულად და სრულად დაფაროს აღებული კრედიტი და მასზე დარიცხული პროცენტი. ფაქტორები, რომელთა გათვალისწინება ხდება მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასებისას, საშუალებას იძლევა შევავსოთ მსესხებლის მზადყოფნა დააბრუნოს სესხი დათქმულ დროს.

დღესდღეობით სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირების დაფინანსება კომერციული ბანკების მიერ ძირითადად ხორციელდება მოკლე ან საშუალო ვადიანი დაკრედიტების გზით, რის გამომწვევ ძირითად მიზეზებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთის მხრივ ის ფაქტორი, რომ რაც უფრო მოკლევადიანია სესხი, მით უფრო მეტი სიზუსტით არის შესაძლებელი ბიზნესის/მეურნეობის ფინანსური მდგომარეობის (მათ შორის საპროგნოზო ფინანსური შედეგის) გაანალიზება და შეფასება, ხოლო მეორეს მხრივ სოფლის მეურნეობაში არსებული შედარებით მაღალი




რისკები და აღნიშნულ სფეროში სათანადო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის ნაკლებობა. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სოფლის მეურნეობის რიგი დარგები (მაგალითად მევენახეობა, მეციტრუსეობა და ა.შ.) შედარებით ნელბრუნვადია და შედეგს რამოდენიმე წლის შემდეგ იძლევა.

მოკლევადიანი სესხებით ძირითადად შესაძლებელია სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირების წინაშე არსებული მიმდინარე საჭიროებების დაფინანსება, როგორცაა მაგ: საბრუნავი საშუალებები, მიმდინარე საოპერაციო ხარჯები და ა.შ. შესაბამისად მხოლოდ მოკლევადიანი დაკრედიტებით შეუძლებელია სოფლის მეურნეობის სრულყოფილი განვითარება და ისეთი პროექტების დაფინანსება რომელთა განხორციელება როგორც წესი დაკავშირებულია დიდ თანხებთან (მაგალითად: მეურნეობის ტექნიკური გადაიარაღება, ფერმების/საწარმოების გარემონტება, ახალი საწარმოების აშენება, უძრავი ქონების შეძენა და ა.შ.) აუცილებლად საჭიროებს გრძელვადიან დაკრედიტებას, აქედან გამომდინარე გრძელვადიანი სესხები მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებელია სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

გრძელვადიან დაკრედიტების დროს შესაძლო რისკების შემცირების მიზნით შესაძლებელია გამოყენებული იქნას ეროვნული ბანკის რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთის მიმაგრებული გრძელვადიანი კრედიტები. 2010 წლის აპრილიდან ეროვნულმა ბანკმა აამოქმედა ახალი ინსტრუმენტი მუდმივმოქმედი რეფინანსირების სესხი. აღნიშნული ინსტრუმენტით კომერციულ ბანკებს საშუალება აქვთ მიიღონ სესხი გარანტირებულად. საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთზე მიმაგრებული კრედიტების შეთავაზება განსაკუთრებით უნდა გააქტიურდეს ისეთი კატეგორიის პირების მიმართ, რომლებიც გარკვეული პირობების გამო ვერ ახერხებენ აგრო სესხების სახელმწიფო პროგრამით სესხების აღებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა ეროვნული ბანკის რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთის დინამიკა (იხილეთ ნახაზი 1.3).



ნახაზი 1.2. ეროვნული ბანკის რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთის დინამიკა

განვითარებულ აგრარულ ეკონომიკაში კრედიტის როლის გააქტიურებისთვის აუცილებელია სულ მცირე ორი პირობის არსებობა: უპირველეს ყოვლისა, საკმარისი საკრედიტო რესურსების არსებობა და შემდეგ მათი გადახდისუნარიანი გადამხდელი. აგრარული სფეროს დაკრედიტების პროცესის შემაკავებელი ძირითადი მიზეზი არის სესხის დაუბრუნებლობის მაღალი რისკი.

კომერციული ბანკების მიერ ბიზნესის დაკრედიტების დროს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრა, ამ დროს უნდა დადგინდეს შეუძლია თუ არა კლიენტს მოემსახუროს კრედიტს, ანუ დროულად განახორციელოს შენატანები დავალიანების დასაფარად.

ბანკის კლიენტის კრედიტუნარიანობის განსაზღვრის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია ფინანსური დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე ფინანსური კოეფიციენტების ანალიზი, ეს კოეფიციენტებია:

- ლიკვიდობის კოეფიციენტი;
- აქტივების უკუგების კოეფიციენტი;

- ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი;
- ვალის მომსახურების კოეფიციენტი;
- მომგებიანობის კოეფიციენტი;

**ლიკვიდობის კოეფიციენტი** გვიჩვენებს, თუ რამდენად სწრაფად არის შესაძლებელი მსესხებლის საკუთრებაში არსებული აქტივების გადაყვანა ფულად სახსრებში, ლიკვიდობა თავისი შინაარსით წარმოადგენს მოკლევადიან კოეფიციენტს სადაც გადამწყვეტი ფაქტორი არის დროის ის მონაკვეთი რა დროშიც შესაძლებელი იქნება ამა თუ იმ აქტივის ფულად სახსრებში კონვერტირება.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია ლიკვიდობის კოეფიციენტების დაჯგუფება სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით, მათ შორის აღსანიშნავია : ა) მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი, ბ) სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი და გ) აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი.

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი იდენტიფიკაციას უკეთებს კლიენტის უნარს მის ხელთ არსებული მიმდინარე აქტივებით გაისტუმროს მოკლევადიანი ვალდებულებები და იგი გამოისახება შემდეგი ფორმულით:

$$M=(F+S+D+N)/MV$$

სადაც:

M - მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი;

F - ფულადი სახსრები;

S - სწრაფად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები;

D - დებიტორული დავალიანება;

N - საწარმოო მარაგები;

MV - მოკლევადიანი მიმდინარე ვალდებულებები.

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი იდენტიფიკაციას უკეთებს კლიენტის უნარს მის ხელთ არსებული მოკლევადიანი აქტივებით გაისტუმროს მოკლევადიანი ვალდებულებები და იგი გამოისახება ფორმულით :  $L=(F+S+D)/MMV$

სადაც:

M - სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი;

F - ფულადი სახსრები;

S - სწრაფად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები;

D - დებიტორული დავალიანება;

MMV - მოკლევადიანი მიმდინარე ვალდებულებები.

აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი იდენტიფიკაციას უკეთებს კლიენტის უნარს მის ხელთ არსებული მაღალლიკვიდური აქტივებით გაისტუმროს მოკლევადიანი მიმდინარე ვალდებულებები და იგი გამოსახება ფორმულით :  $AL = F/MMV$

სადაც:

AL - აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი;

F - ფულადი სახსრები;

MMV - მოკლევადიანი მიმდინარე ვალდებულებები.

აქტივების უკუგების კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ რამდენად ეფექტიანად იყენებს კლიენტი მის ხელთ არსებულ აქტივებს. ეს კოეფიციენტი თავის მხრივ მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორცაა მარაგების ბრუნვა პერიოდში, დებიტორული დავალიანების ბრუნვა პერიოდში, აქტივების ბრუნვა პერიოდში.

ფინანსური ლევერიჯის (ფინანსური დამოუკიდებლობის) კოეფიციენტი გვიჩვენებს კლიენტის საკუთარი კაპიტალით უზრუნველყოფის დონეს, ანუ კლიენტის დამოკიდებულებას მოზიდულ ფინანსურ სახსრებზე, შესაბამისად კლიენტის ფინანსური ანალიზის დროს ბანკმა უნდა შეისწავლოს კლიენტის სასესხო ვალდებულებების მოცულობა და მისი შეფარდება კლიენტის აქტივებთან და კაპიტალთან, ასევე საკუთარი კაპიტალის შეფარდება აქტივებთან. რაც უფრო მაღალი არის ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი მით მეტი არის კლიენტის დამოკიდებულება მოზიდულ სახსრებზე.

ფინანსური ლევერიჯის გამოსახება ფორმულით :  $Lew = Sw/Sa$

სადაც:

Lw - ფინანსური ლევერიჯის მაჩვენებელი;

Sw – ჯამური ვალდებულებები;

Sa - ჯამური აქტივები

ვალის მომსახურების (დაფარვის) კოეფიციენტი ნიშნავს კლიენტის შესაძლებლობას მისი შემოსავლების ხარჯზე დაფაროს დავალიანება, ამასთანავე ეს კოეფიციენტი გვაჩვენებს რამდენად მცირდება კომპანიის მოგება ფიქსირებული გადახდების ხარჯზე.

ფინანსური ანალიზის დროს მიღებულია ვალის მომსახურების შემდეგი კოეფიციენტების გამოყენება:

$$ა) DK = \frac{Mpg}{P}$$

სადაც:

DK - პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი;

Mpg - მოგება პროცენტებისა და გადასახადების გადახდამდე;

P - პროცენტული გადახდები;

$$ბ) VPDK = \frac{Mpg}{P + (Z / (1 - Sg))}$$

სადაც :

VPDK - ძირითადი ვალის და პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი;

Mpg - მოგება პროცენტებისა და გადასახადების გადახდამდე;

P - პროცენტული გადახდები;

Z - ძირითადი ვალის დაფარვა;

Sg - საგადასახადო განაკვეთი.

$$გ) Fg = \frac{Mpg + Gi}{P + Gi}$$

სადაც :

Fg - ფიქსირებული გადასახადის დაფარვა;

Mpg - მოგება პროცენტებისა და გადასახადების გადახდამდე;

P - პროცენტული გადახდები;

Gi - გადახდები ფინანსურ იჯარაზე.



ნახაზი 1.5. - მეცხოველეობის დარგისათვის ტიპიური ტექნოლოგიური ბარათის ნიმუში

regioni	jamuri farTobi		ha	saSualo mosavlianoba		tona / ha	namjis gamosavlianoba		presi/ha											
damuSavebuli / dasamuSavebeli naiveTebis monacemebi																				
naiveTis #	1	2	3	4	5	6	7	8												
mavis kategoria																				
daTezis sorbis #																				
damuSavebuli farTobi (ha)																				
sorbis mosavlianoba (tona/ha)																				
dasaveleba		marovali		presi		dasaveleba		sromi												
sul / ha-ze		sul / ha-ze		sul / ha-ze		kg. / ha-ze		sul / ha-ze												
vlis mosavli (tona, cal)																				
zakuri mom. / repr. (tona, cal)																				
szaxalazio razi (tona, cal)																				
szSualo fasi (Thona, kcal)																				
vliuri Semosavli (lari)																				
vliuri sarji (lari)																				
mar. mogeba (lari)																				
ToriTrebuleba (lari/tona, lari/presi)																				
reoraboba																				
mosavli realizacis monacemebi																				
mosavli realizacis Tve																				
gasiduli sorbali (tona)	0																			
sorbis gasagidi fasi (lari/tona)																				
gasiduli presi (cal)	0																			
presi gasagidi fasi (lari/presi)																				
Semosavli realizacidan (lari)	0	0	0	0	0	0	0	0	0											
teqnologiuri procebis aPlura																				
teqნologia		masalebi				Sroma			jami											
#	operacia	+	-	Catareba (Tve)	gadasda (Tve)	mimdinare statusi	naku #	mimd. damuS. (ba)	masala	norma (kg/ha)	sul (kg.)	salviro (kg.)	maragi (kg.)	fasa	sarji (lari)	sarji (sul)	sarji (lari)	Sromaze	sarji mTel farTobze	aqedan gadasaideli
1											0	0			0	0		0	0	0
2 შიშინარე ხეხონის CashFlow გაგრაფიკება შიშინარე ხეხონის მართვის მონაცემების მიხედვით შიშინარე ხეხონის დახარჯვა (ლარი):																				

ნახაზი 1.7. - მემცენარეობის დარგისათვის ტიპიური ტექნოლოგიური ბარათის ნიმუში

რეკომენდირებულია ტექნოლოგიურ ბარათებში მოხდეს მეურნეობის საქმიანობის ჯამური მონაცემების ასახვა, ასევე თვალსაჩინოებისთვის მოცემული იყოს ცხრილები, რომლებიც უჩვენებენ საქმიანობის შემოსავლებისა და მოგების ცვლილებას იმ შემთხვევაში, თუ მოხდება სარეალიზაციო ფასის, მოსავლიანობის და ტექნოლოგიური ხარჯების ცვლილება რაიმე მიზეზით. ასევე რეკომენდირებულია ნაჩვენები იყოს ნულოვანი მოგების წერტილიც.

კომერციული ბანკების საქმიანობა საბაზრო ეკონომიკის პირობებში რისკებთან გარდაუვლად არის დაკავშირებული. საკრედიტო ორგანიზაციების ბუნებიდან გამომდინარე საბანკო რისკების ძირითად სახეობას საკრედიტო რისკი წარმოადგენს. სოფლის მეურნეობის დაკრედიტება დარგის სპეციფიკას უნდა ითვალისწინებდეს და ის რისკების შეფასებისადმი და მართვისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

საკრედიტო რისკი წარმოადგენს მევალის მიერ კრედიტორის კუთვნილი ძირითადი ვალის და პროცენტების არგადახდის საშიშროებას. საკრედიტო რისკი ბანკს შეიძლება წარმოემვას თავის კლიენტებთან (დებიტორები) სხვადასხვა საქმიანობიდან, როგორც კრედიტების გაცემა,

სახაზინო და საინვესტიციო საქმიანობა, ვაჭრობის დაფინანსება და სხვა. შესაძლოა კლიენტმა არ გადაიხადოს კრედიტორის კუთვნილი ძირითადი ვალი და პროცენტები. ეს შეიძლება რამდენიმე მიზეზით მოხდეს: საბაზრო და ზოგადი ეკონომიკური სიტუაციის ცვლილება, საინვესტიციო პროექტის არასაკმარისი მარკეტინგული დამუშავება, ფორს-მაჟორული ვითარება და ა.შ.

რისკის და შემოსავლების პრობლემა არის ერთ-ერთი წამყვანი კონცეფცია საბაზრო ურთიერთობების სუბიექტების ფინანსურ და სამეწარმეო საქმიანობაში. რისკი გულისხმობს ბიზნესის მიერ საკუთარი რესურსების დაკარგვის საფრთხეს, ან დამატებითი ხარჯების გაჩენას გარკვეული ფინანსური და საწარმოო სტრატეგიის გატარებისას.

კომერციული ბანკის საკრედიტო რისკების მართვის პროცესში შესაძლოა გამოვეყნოთ რამდენიმე საერთო დამახასიათებელი ეტაპი:

- ბანკის საკრედიტო პოლიტიკის მიზნების და ამოცანების შემუშავება;
- საკრედიტო რისკების მართვის ადმინისტრაციული სტრუქტურის და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღების სისტემის შექმნა;
- მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შესწავლა;
- მსესხებლის საკრედიტო ისტორიის, მისი საქმიანი კავშირების შესწავლა;
- საკრედიტო შეთანხმების შემუშავება და დადასტურება;
- კრედიტების დაუბრუნებლობის რისკების ანალიზი;
- მსესხებლის და მთლიანად სესხების პორტფელის საკრედიტო მონიტორინგი;
- ვადაგასული და საეჭვო სესხების დაბრუნების და გირაოს რეალიზაციის ღონისძიებები.

ბანკები სესხების შესაძლო დანაკარგების შედეგად მიღებული ფინანსური სირთულეების ამორტიზაციის (შერბილების) მიზნით უნდა ხელმძღვანელობდნენ წინდახედულობის პრონციპით, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად მოიცავს შესაძლო დანაკარგების ფონდის შექმნას.



სესხების მიხედვით შესაძლო დანაკარგების რეზერვის ფორმირების აუცილებლობა განპირობებულია საკრედიტო რისკებით ბანკის საქმიანობაში. სესხების მიხედვით შესაძლო დანაკარგების რეზერვის ფორმირება ხორციელდება ანარიცხების ხარჯზე, რომლებიც მიეკუთვნება ბანკების დანახარჯებს.

საკრედიტო რისკების შემცირების რამდენიმე გზა არსებობს. მათ შორისაა საფინანსო ღონიძიებები - საფინანსო გარანტიების მიღება და დაზღვევა.

**სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში** გაანალიზებულია ფინანსური რისკების დაზღვევის არსი და აგროდაზღვევის სრულყოფის გზები თანამედროვე პირობებში.

სადაზღვევო რისკი არაერთმნიშვნელოვანი ცნებაა, მაგრამ უფრო ხშირად მის ქვეშ გულისხმობენ იმ შემთხვევათა დადგომის ალბათობას, რომლებზედაც ხდება დაზღვევა. რისკი წარმოადგენს სადაზღვევო ურთიერთობათა წარმოშობის ობიექტურ წანამძღვარს: თუ არ არის რისკი – არ არის მოთხოვნილება დაზღვევაზე. მაგრამ ყველა რისკი არ შეიძლება საფუძვლად ედოს სადაზღვევო ურთიერთობებს. პრაქტიკაში ზარალის დადგომის ნაკლები ალბათობის დროს, ქონების პატრონი დაზღვევით დაინტერესებული არ არის, ხოლო ზარალის დადგომის ძალიან დიდი ალბათობისას ორგანიზაცია, რომელიც დაზღვევას ახორციელებს, იძულებულია თავისი ფინანსური სიმყარის დაცვისთვის ან უარი უთხრას დაზღვევას მიღებაზე, ან დააწესოს უმაღლესი ტარიფები, რაც ზარალის ალბათობის შესაბამისი იქნება.

ფინანსური რისკების დაზღვევა წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ გარიგებების შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ვალდებულებები იქნება შესრულებული.

გავრცელებულ ფინანსური რისკებს მიეკუთვნებიან: საკრედიტო რისკი, კომერციული კრედიტის რისკი, საინვესტიციო რისკი, სავალუტო რისკი, სამეწარმეო და კომერციული რისკები. მნიშვნელოვანია, რომ

ყოველი თითოეული შემთხვევის დროს დადგინდეს დაზღვევის საგანი და გარემოება, მაგალითად: სადაზღვევო შემთხვევად ითვლება საბანკო კრედიტის გადაუხდელობა ვადის დადგომიდან 30 დღის შემდეგ და სხვა.

ფინანსური რისკის შეფასება და შესაბამისად დაზღვევის საპროცენტო განაკვეთი გამომდინარეობს შესაბამისი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, რომელიც ადასტურებს დაზღვეულის გადამხდელუნარიანობას, მისი საქმიანობის შესაბამისობას კანონმდებლობასთან და ფინანსური სტაბილურობას.

აგრარული სექტორის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად აგროდაზღვევის განვითარებას მივიჩნევთ, თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ აგრორისკების დაზღვევა დაზღვევის ერთ-ერთი რთული სახეობაა და აგრონომიული სფეროს ღრმა ცოდნას მოითხოვს.

აგროდაზღვევის ძირითადი მიზანია დაიცვას ფერმერები და მოახდინოს მათი შემოსავლის სტაბილიზაცია, ისე რომ ფერმერების აქტივობები შეუწყვეტლად გრძელდებოდეს წლების განმავლობაში, მათი ფინანსური ზარალის ანაზღაურების გზით, იმ შემთხვევაში, თუ ფერმერის მიერ დაზღვეული მოვლენა გახდა მოსავლის დანაკლისის ან მოუსავლიანობის მიზეზი. სოფლის მეურნეობაში მოსავლის დაზღვევას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ამდენად აგროდაზღვევის განხორციელება ფერმერისათვის ძალზედ აქტუალურია და ისინი აუცილებლად კარგად უნდა ერკვეოდნენ აგროდაზღვევის პროდუქტებში.

სოფლის მეურნეობაში დაზღვევის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად უამრავი ფერმერი, რომელთათვისაც მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია შემოსავლის ერთადერთი წყაროა, სხვადასხვა სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალის გამო მთელი წლის სარჩო-საბადებელს კარგავს. მხოლოდ 2014 წელს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, სტიქიის (სეტყვა, გვალვა, ქარიშხალი, წვიმა და ა.შ.) შედეგად მიყენებული ზარალი ციფრებში შემდეგნაირად გამოისახება: დაზარალებული

ადამიანების სავარაუდო რაოდენობა -108 360, დაზიანებული ფართობები - 107 043 ჰა, მიყენებული ზარალი - 136 236 343 ლარი. აქედან, მარცვლოვნების დაზიანებული ფართობი შეადგენს - 63 695 ჰა-ს, მზესუმზირა - 9 516 ჰა, ლობიო - 384 ჰა, კარტოფილი - 3 194 ჰა, ბაღჩეული კულტურები 1 708 ჰა, ვენახი - 10 957 ჰა, ხეხილი - 1 595 ჰა, თხილი - 15 898 ჰა, კაკლოვნები -79 ჰა, ფრინველი - 2 661 ფრთა და 95 ფუტკრის ოჯახი.

სასოფლო - სამეურნეო სექტორში რისკები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ისეთ ლოკალურ ფაქტორებთან, როგორცაა : აგრო წარმოების პრაქტიკა, ნიადაგის ტიპები, კლიმატური გარემო და ა.შ. განვითარებად ქვეყნებში აღნიშნულს ემატება სხვა ფაქტორები (სტიქიის კონტროლი, ტექნიკური რისკები და ა.შ.).

საქართველოში ფერმერთა უმეტესობა მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო მიწის მფლობელია, რაც ზრდის სადაზღვევო კომპანიების დანახარჯებს, შესაბამისად, მათ შედარებით მსხვილი მეურნეობების მესაკუთრეებთან ურთიერთობა ურჩევნიათ. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, 2014 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედდა აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფო აფინანსებს სადაზღვევო პრემიის მნიშვნელოვან ნაწილს.

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროექტის მიზანს წარმოადგენს :

- აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება;
- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა;
- სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული პირების კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირება.

სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანისთვის მზღვეველის მიერ გასაცემი სადაზღვევო ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება დაზღვეული ტერიტორიის ლიმიტის გამრავლებით ზიანის

პროცენტზე, ხოლო დაზღვეული ტერიტორიის ნაწილის დაზიანების შემთხვევაში - დაზღვეული ტერიტორიის ნაწილის ლიმიტის გამრავლებით ზიანის პროცენტზე (აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ტარიფები იხილეთ ნახაზი 1.9).

აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ტარიფები					
სასოფლო-სამეურნეო კულტურა	სააგენტოს თანამონაწილეობა	დამზღვევის თანამონაწილეობა	ფიქსირებული სადაზღვევო ტარიფი	ნორმატიული ფასი ლარი/ჰა.	ნორმატიული ფასი ლარი/ჰა.
<b>მარცვლეული კულტურები</b>					
ხორბალი	60%	40%	6.5%	1,500	0.5
ქერი				1,320	0.6
სიმინდი				2,250	0.5
<b>პარკოსანი კულტურები</b>					
ლობიო	60%	40%	6.5%	3,400	2
მზესუმზირა				2,300	1
სოიო				2,500	1
<b>ბოსტნეული კულტურები</b>					
ბადრიჯანი	60%	40%	8.5%	15,000	0.5
წიწაკა				15,000	0.5
კომბოსტო				11,400	0.3
პომიდორი				12,000	0.4
კიტრი				13,500	0.5
კარტოფილი				15,000	0.6
ხახვი				12,500	0.5
ნიორი				14,400	1.8
სტაფილო				16,250	0.65
ჭარხალი				15,000	0.5
<b>ბალჩეული კულტურები</b>					
საზამთრო	60%	40%	10.5%	10,000	0.25
ნესვი				10,000	0.4
ვაზი	40%	60%	8.5%	12,000	1.2
<b>ხეხილი</b>					
ვაშლი	60%	40%	8.5%	20,000	0.8

მსხალი				16,000	0.8
კომში				16,000	0.8
ბალი, ალუბალი				24,000	1.5
ატამი				13,800	0.6
გარგარი				22,500	1.5
ქლიავი				14,400	0.9

<b>კენკროვანი კულტურები</b>					
მარწყვი	60%	40%	10.5%	12,600	1.4
ჟოლო				15,000	2.5
მოცხარი				15,200	1.9
მოცვი				28,000	3.5
<b>კაკლოვანი კულტურები</b>					
თხილი	60%	40%	6.5%	6,600	3
კაკალი				18,000	4
<b>სუბტროპიკული კულტურები</b>					
კივი	60%	40%	10.5%	18,000	1
სუბტროპიკული ხურმა, კარალიოკი				12,000	0.6
ფეიხსა				12,000	1.5
<b>ციტრუსი</b>					
მანდარინი	60%	40%	8.5%	10,000	0.5
ლიმონი				14,450	0.85

ნახაზი 1.9. - აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამის ტარიფები

## ზოგადი დასკვნები

ჩატარებულმა სადისერტაციო კვლევამ შემდეგი შედეგების მიღების საშუალება მოგვცა:

- 1 - აღვნიშნეთ, რომ ეროვნულ ეკონომიკურ ლიტერატურაში აგროდაკრედიტების საკითხები არასაკმარისად არის შესწავლილი;
- 2 - აღვნიშნეთ, რომ კომერციული ბანკების მიერ არ არის შემუშავებული ერთიანი მიდგომა სოფლის მეურნეობის დაკრედიტებასთან დაკავშირებით;
- 3 - აგრობიზნესის კრედიტუნარიანობა განვიხილოთ, როგორც მისი მდგრადობის გამოვლენის უმნიშვნელოვანესი ფორმა, გაკეთებულია დასკვნა იმის შესახებ, რომ საკრედიტო ოპერაციების მოცულობისა და რენტაბელობის ზრდის დაბალი ტემპები მოითხოვენ საკრედიტო რისკების მართვის მეთოდოლოგიის მუდმივ სრულყოფას და მისი რეალიზაციისათვის შიდასაბანკო სტრუქტურების შექმნის აუცილებლობას;
- 4 - აღვნიშნეთ, რომ აგრობიზნესი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბუნებრივ ფაქტორებზე, რის გამოც შესაძლო რისკების კომპენსირების მიზნით კომერციული ბანკები ითხოვენ მაღალ უზრუნველყოფას (გირაო/იპოთეკა), რისი წარმოდგენაც მეურნეების დიდი ნაწილისთვის შეუძლებელია მთელი რიგი ფაქტორების გამო, შესაბამისად აგროდაკრედიტების დროს მიზანშეწონილია განხილული იქნას გირაოს ალტერნატიული წყაროები, მათ შორის სახელმწიფო გარანტიები და აგრობიზნესის მომავალი მოსავალის;
- 5 - ჩამოვაცალიბოთ, რომ სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესახებ დამზღვევთა (ფერმერთა) ინფორმირებულობის ამაღლების მხრივ საჭიროა მეტი ქმედითი ღონისძიებების გატარება;
- 6 - შევთავაზოთ, რომ მიუხედავად აგროსექტორის განვითარების მიზნით სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის ამოქმედებისა მიზანშეწონილია აღნიშნული პროგრამის ეფექტურობის გაზრდის მიზნით განხილული იქნას კომერციული ბანკების მიერ გრძელვადიანი

აგროდაკრედიტებიდან მიღებული შემოსავლების მოგების გადასახადით დაბეგრვისგან განთავისუფლება, როგორც კომერციული ბანკების მიერ აგროსექტორის გრძელვადიანი დაკრედიტების მასტიმულირებელი ფაქტორი;

7 - ჩამოვყალიბოთ, რომ აგროსექტორის ერთერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სექტორის მცირე მიწიანობა, რაც ხელს უშლის არსებითად რენტაბელური მეურნეობების ჩამოყალიბებას, შესაბამისად უნდა გაძლიერდეს ფერმერების რესურსების გაერთიანების კუთხით მუშაობა;

8 - აღვნიშნოთ, რომ დარგის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ერთის მხრივ ქვეყანაში მოთხოვნადი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების იმპორტის მინიმიზაცია, ხოლო მეორეს მხრივ ექსპორტის წახალისება ახალი ბაზრების მოძიების გზით;

9 - კვლევის პერიოდში მსესხებლის ფინანსური ანალიზის ჩატარების მიზნით შემუშავებული იქნა ტექნოლოგიური ბარათების რეკომენდირებული მაჩვენებლები სოფლის მეურნეობის ორი ძირითადი მიმართულების მიხედვით, კერძოდ: მეცხოველეობა და მემცენარეობა.

### **ნაშრომის აპრობაცია**

**დისერტაციის თემაზე სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა სამი კოლოქვიუმი:**

1. სოფლის მეურნეობაში გრძელვადიანი კრედიტების განვითარების ანალიზი და ბიზნესის კრედიტუნარიანობის შეფასების ძირითადი ასპექტები (05/02/2015);
2. აგროდაზღვევის სრულყოფის გზები თანამედროვე პირობებში (05/07/2015);
3. საქართველოში აგრობიზნესის განვითარების პერსპექტივა თანამედროვე პირობებში (13/02/2016).

**სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია ავტორის მეცნიერულ შრომებში:**

1. ჭანუყვაძე გ. – კომერციული ბანკების საკრედიტო რისკები - თბილისი, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“- თბილისი 2015 წელი, გვ. 115-123;
2. ჭანუყვაძე გ. - გრძელვადიანი საბანკო დაკრედიტების როლი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში - თბილისი, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“ - თბილისი 2015 წელი, გვ. 165-170;
3. ჭანუყვაძე გ. – კომერციული ბანკების საოპერაციო რისკები - თბილისი, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“- თბილისი 2016 წელი, გვ. 166-167;

**სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენდა:**

1. ჭანუყვაძე გ. - სოფლის მეურნეობაში დაკრედიტების ანალიზი და ბიზნესის კრედიტუნარიანობის შეფასების ძირითადი ასპექტები - თბილისი, საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „სეუ და მეცნიერება“ - თბილისი 2016 წ.